გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 203

2023 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი გორი

2020 წლის 14 ივლისის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებაში (მხარე: ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილი პ/ნ 59001097562) ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2020 წლის 14 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს (პ/ნ 59001097562) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში მდებარე 3200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 404.42 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი N66.51.08.279.

ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილი (პ/ნ 59001097562) 2023 წლის 14 სექტემბრის N19/2023257110-20 განცხადების საფუძველზე ითხოვს, მიეცეს უფლება ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ 2020 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობა, რომელიც გულისხმობდა მეცხოველეობის ფერმისა და დამხმარე ნაგებობების აშენებას, შეეცვალოს დანიშნულება და მოაწყოს ხილის შესანახი პუნქტი.

2020 წლის 14 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს შორის გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების პირობები, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2022 წლის 14 ივლისამდე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირობების შესრულება, გარდა დასასაქმებელი პირების ნაწილში (10 პირის ნაცვლად დაასაქმა მხოლოდ 7 პირი). ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილის განმარტებით ფინანსური პრობლემების გამო ვეღარ ამუშავებს ფერმას და ვერ ახერხებს ობიექტზე საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას. პირობის შეცვლის შემთხვევაში ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილი იღებს ვალდებულებას ხილის შესანახ ობიექტზე დაასაქმოს 10 საქართველოს მოქალაქე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შეიტანოს ცვლილება

2020 წლის 14 ივლისს გაფორმებულ სასყიდლიან აღნაგობის ხელშეკრულებაში, კერძოდ ნაცვლად მეცხოველეობის ფერმისა მოაწყოს ხილის შესანახი ობიექტი, სადაც დაასაქმებს 10 საქართველოს მოქალაქეს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შეიტანოს ცვლილება 2020 წლის 14 ივლისს გაფორმებულ სასყიდლიან აღნაგობის ხელშეკრულებაში (საგანი: სოფელ მერეთში მდებარე 3200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 404.42 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი N66.51.08.279), კერძოდ ნაცვლად მეცხოველეობის ფერმისა ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილმა (პ/ნ 59001097562) ქონებაზე მოაწყოს ხილის შესანახი ობიექტი, სადაც დაასაქმებს 10 საქართველოს მოქალაქეს.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე